საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მირცხულავა დიდიმ ლავრენტის ძე

მირცხულავა დიდიმ ლავრენტის ძე (2. VIII. 1912, ქუთაისი, – 19. XI. 1997, თბილისი), დირიჟორი. საქართვ. სახ. არტისტი (1958). სტალინური (1951) და ზ. ფალიაშვილის სახ. (1986) პრემიების ლაურეატი. 1937 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (ხელმძღვ. ე. მიქელაძე). 1936–38 მუშაობდა თბილ. კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. თეატრში სამუსიკო ნაწილის გამგედ და დირიჟორად, 1937–97 – ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორად. რეპერტუარში ჰქონდა ქართვ. და უცხოელი კომპოზიტორების ოპერები და ბალეტები (მ. შ. ახალი დადგმები). ბალეტ „გორდას“ დადგმაში მონაწილეობისათვის მიენიჭა სტალინური პრემია. აღიარებულია ზ. ფალიაშვილის ოპერების ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად. 1951-იდან იყო თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის საოპერო მომზადების კათედრის პედაგოგი და საოპერო სტუდიის დირიჟორი (1968-იდან – პროფესორი). მ-ს ხანგრძლივმა და ნაყოფიერმა საშემსრულებლო და პედ. მოღვაწეობამ ღრმა კვალი დატოვა ქართ. მუს. ხელოვნებაში. იგი ითვლება ე. მიქელაძის საშემსრულებლო ტრადიციის გამგრძელებლად. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1996).

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ქ ო ქ ი ა შ ვ ი ლ ი გ., ნუმც მოიშლება ხსენება მათი, თბ., 2019; ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე - მ ი რ ც ხ უ ლ ა ვ ა ნ., დიდიმ მირცხულავა, თბ., 1999

თ. დოლიძე